საქართველოს
ახალგაზრდა
იურისტთა
ასოციაცია
GYLA.GE
საია აცხადებს
თანაშემწეთა კონკურსს
საერთაშორისო
სამართალწარმოების
გუნდში
განაცხადის წარმოდგენის ბოლო ვადა: 2024 წლის 20 იანვარი

საია აცხადებს თანაშემწეთა კონკურსს საერთაშორისო სამართალწარმოების გუნდში

სამუშაო ადგილი: თბილისი (ნაწილობრივ დისტანციურ რეჟიმში წარიმართება სტაჟირება)

სამუშაო დატვირთვა: არასრული

განაცხადის წარმოდგენის ბოლო ვადა: 2024 წლის 20 იანვარი

საერთაშორისო სამართალწარმოების გუნდის თანაშემწედ/სტაჟიორად ყოფნა გულისხმობს 6-თვიანი კურსის გავლას, რომლის წარმატებით დასრულების შემთხვევაში მონაწილეები მიიღებენ შესაბამის სერტიფიკატს.

კონკურსის შედეგად საერთაშორისო სამართალწარმოების გუნდში შეირჩევა არაუმეტეს 4 პირი. კონკურსის შედეგად შერჩეული კანდიდატები საქმიანობას შეუდგებიან 2024 წლის თებერვლიდან. სტაჟირება წარიმართება, როგორც ოფისში ასევე დისტანციურ რეჟიმში.

კურსის განმავლობაში შერჩეულ კანდიდატებს ექნებათ შესაძლებლობა, საია-ს საერთაშორისო სამართალწარმოების გუნდის დახმარებით, უშუალოდ ჩაერთონ ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებებისთვის სტრატეგიული მნიშვნელობის საქმეთა წარმოებაში.

კონკურსში მონაწილეობის მიღების უფლება აქვთ იურიდიული ფაკულტეტის ბაკალავრიატის III/IV კურსისა და მაგისტრატურის სტუდენტებს, ასევე კურსდამთავრებულებს. კონკურსის გავლის აუცილებელი წინაპირობაა ინგლისური ენის მაღალ დონეზე ცოდნა.

თანაშემწეების/სტაჟიორების მოვალეობებია:

- ადამიანის უფლებების ჭრილში, სტრატეგიული საერთაშორისო სამართალწარმოების მიზნებისთვის საერთაშორისო, სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეთა ანალიზი;

- სამართლებრივი დოკუმენტების მომზადება, როგორც შიდასახელმწიფოებრივი, ისე - საერთაშორისო ინსტიტუციებისთვის;

- საერთაშორისო სამართალწარმოების ფარგლებში განცხადებებისა და სხვა სამართლებრივი დოკუმენტაციის მომზადებაში იურისტების დახმარება;

- კონკრეტულ საკითხებზე საერთაშორისო პრაქტიკის მოძიება და გაანალიზება;

- იურისტების ზედამხედველობით ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულებისთვის კვლევითი საქმიანობის განხორციელება.

განაცხადების მიღება წარმოებს მითითებული ბმულის მეშვეობით - https://docs.google.com/forms/d/e/1FAIpQLSdhc4a5_WRhhsy-fLYyOCjMPz4BafyYJvIflvSSoNzuMfcIRg/viewform?usp=sf_link

კონკურსის შედეგად შერჩეულ პირებთან გაფორმდება შესაბამისი ხელშეკრულება, რომლითაც განისაზღვრება თანაშემწეთა/სტაჟიორთა უფლება-მოვალეობები.

კონკურსის ეტაპები:

1. წერითი გამოცდა - დაშვებული იქნება კანდიდატი, რომელიც აკმაყოფილებს ჩამოთვლილ კრიტერიუმებს და აქვს სრულყოფილად შევსებული სარეგისტრაციო ფორმა. წერით გამოცდაზე კონკურსში მონაწილეებს ევალებათ კაზუსის ამოხსნა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის მიმართულებით, რომლის ერთ-ერთი დავალება, ასევე, შეიძლება შეიცავდეს სისხლის/სამოქალაქო/ადმინისტრაციული სამართლის საკითხებსაც.

2. გასაუბრება - დაშვებული იქნება ის კანდიდატი, რომელიც წარმატებით გადალახავს პირველ ეტაპს.

განაცხადების მიღება:

საბუთების მიღების ბოლო ვადაა 2024 წლის 20 იანვარი, 18:00.

შეკითხვების არსებობის შემთხვევაში შეგიძლიათ დაუკავშირდეთ საკონტაქტო პირს:

დავით ჯავახიშვილი, ელ. ფოსტა: djavakhishvili@gyla.ge